# გორის მუნიციპალიტეტის
# საკრებულო
# განკარგულება № 233

## 2022 წლის 09 დეკემბერი

## ქალაქი გორი

**გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ**

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წერილი, რომელსაც თან ერთვის სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის გიორგი დუგლაძის მიმდინარე წლის 27 ოქტომბრის N5/60042 წერილი, რომელიც შეეხება უძრავი ქონების (ამბულატორიის) სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის საკითხს.

სააგენტოს წერილს თან ერთვის ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის 2022 წლის 25 ოქტომბრის N100039542200459448 წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ამბულატორიების გადაცემა, სამედიცინო ჰოლდინგის ბალანსზე, დადებითად იმოქმედებს ,,სოფლის ექიმის'' პროგრამის განხორციელებაზე. საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი ერთიანი მიდგომით დაიწყებს მუშაობას ამბულატორიების რეაბილიტაცია/მშენებლობისათვის, რათა ქვეყანაში გაუმჯობესდეს პირველადი ჯანდაცვის მიწოდების ხარისხი. აღნიშნულ მიდგომას ასევე იზიარებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია, რაიონი გორი, სოფელ ბერბუკში მდებარე 207 კვ.მ მიწის ნაკვეთი ს/კ 66.54.24.243.

გორის მუნიციპალიტეტის მერს და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, რაიონი გორი, სოფელ ბერბუკში მდებარე 207 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ამბულატორიის ასაშენებლად) ს/კ 66.54.24.243, გადაეცეს სახელმწიფოს უსასყიდლოდ საკუთრებაში.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, 108-ე მუხლის და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 27 ოქტომბრის N5/60042 წერილის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. გადაეცეს, სახელმწიფოს უსასყიდლოდ საკუთრებაში რაიონი გორი, სოფელ ბერბუკში მდებარე 207 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ამბულატორიის ასაშენებლად, ს/კ 66.54.24.243.
2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი გორი, ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე